დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 14

ქ. დმანისი

24 დეკემბერი 2025 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. სოფიო ასლამაზაშვილი
6. ლერი ბერუაშვილი
7. მურაზი აბრამიშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. ილია სარსევანიძე
11. ემზარი პეტრიაშვილი
12. ნოდარი ადუაშვილი
13. გიორგი გურჩიანი
14. ნატიგ ოვჩიევი
15. სტამბულ ისაევი
16. ქამრან მამედოვი
17. მიხეილ დაუთაშვილი
18. შალვა ღამბარაშვილი
19. შოთა აკობაშვილი
20. გამლეტ ისმაილოვი
21. ემილ იბრაგიმოვი
22. თეიმურაზ მენაბდიშვილი
23. ირაკლი მუჯირიშვილი
24. აიდინ შარიფოვი
25. შაქირ ჩერპანოვი
26. ლომა გადრანი
27. ლია კავლელაშვილი
28. გოჩა გოჩაძე
29. ვაგიფ მუსაევი
30. ალექსანდრე ნონიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი მეგი ედიბერიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 40

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**	
2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ		
	მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**	
3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე		
	მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**	
4	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ		
	მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**	
5	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ		
	მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**	

6	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის №109.109253165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**	
7	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ		
	მომხსენებელი:	**მ. ედიბერიძე**	
8	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ		
	მომხსენებელი:	**მ. ედიბერიძე**	
9	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ		
	მომხსენებელი:	**მ. ოკმელაშვილი**	
10	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ		
	მომხსენებელი:	**ტ. პაკელიანი**	
11	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**	
12	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“		
	მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**	
13	**განკარგულება:** „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების		

	თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის Nგ-109.109252832 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**

14	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ

მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**

15	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

16	**განკარგულება**: დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი და შენობა ნაგებობა) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

1. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 19 დეკემბრის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის #1955 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების თანახმად დმანისის მუნიციპალიტეტს ნაცვლად 4.586,3 ათასი ლარისა გამოეყო 4.722,9 ლარი. სხვაობა შეადგენს 130,6 ათასს ლარს, რომელიც აისახოს შემოსულობების „გრანტი“-ის „კაპიტალური ტრანსფერები“-ს მუხლში და ასევე გადასახდელების ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 5.764,9 ათასი ლარისა განისაზღვროს 5.901,5 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
2) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის #1604 „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის ხელშეკრულების თანხამ შეადგინა 142,3 ათასი ლარი, რომელიც აისახოს შემოულობების შემოსულობების „გრანტი“-ში და ასევე გადასახდელების ორგანიზაციული კოდი 04_03

„საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 142,3 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეული ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

3) ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლი შემცირდეს 0,5 ათასი ლარით, ხოლო ორგანიზაციული კოდი 06_02_04 „სარიტუალო მომსახურება“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი გაიზარდოს 0,5 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 1,5 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

4) ა(ა)იპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 05 დეკემბრის წერილის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 06_01_01 ა(ა)იპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან გადატანილ იქნეს 0,1 ათასი ლარი ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 181,4 ათასი ლარისა განისაზღვროს 181,5 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

5) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 25 ნოემბრის #02-1082532914 და 05 დეკემბრის #02-1082533976 წერილების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობების“ „გრანტი“-ს კოდში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს 06_02_11 ორგანიზაციულ კოდში „შშმპ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ აისახოს 2025 წლის ოქტომბრის და ნოემბრის თვის გამოყოფილი თანხა 35,8 ათასი ლარის ოდენობით შემდეგი მუხლების მიხედვით:

   - ✓ საქონელი და მომსახურება - 1,7 ათასი ლარი;
   - ✓ სოციალური უზრუნველყოფა - 34,1 ათასი ლარი;

   შესაბამისად, „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი ნაცვლად 3,2 ათასი ლარისა განისაზღვროს 4,9 ათასი ლარით, ხოლო „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი ნაცვლად 70,2 ათასი ლარისა განისაზღვროს 104,3 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

6) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის #1604 „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 25,5 ათასი ლარი, რომელიც აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების „გრანტების“ „მიზნობრივი ტრანსფერები“-ს მუხლში, შესაბამისად „გადასახდელებში“-ს ორგანიზაციული კოდი 04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს 25,5 ლარით.

7) დმანისის „სერვის ჯგუფი“-ს დირექტორის 2025 წლის 14 ნოემბრის #34-108253188 წერილის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 03_01_01 ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს

„არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან 70,0 ათასი ლარი გადატანილ იქნეს ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 2.285,1 ათასი ლარისა განისაზღვროს 2.355,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

8) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 17 ნოემბრის #04-1082532129 წერილის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 05_02_04 „გრანტები“-ს მუხლიდან 10,0 ათასი ლარი გადატანილ იქნეს ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 10,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

9) დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 01 დეკემბრის #108.108253356 ბრძანების შესაბამისად, ორგანიზაციული კოდი 04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს 26,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 144,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 170,3 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

10) დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 18 დეკემბრის #108.1082535225 ბრძანების შესაბამისად, ორგანიზაციული კოდი 01_01_01 „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან გადატანილ იქნას 15,0 ათასი ლარი, ამავე კოდის „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 843,2 ათასი ლარისა განისაზღვროს 858,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

11) ორგანიზაციული კოდი „შემოსულობები სხვა შემოსავლებიდან“ „სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მუხლი შემცირდეს 120,0 ათასი ლარით, ხოლო კოდი „სანქციები, ჯარიმები და საურავები“-ს „შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან“ მუხლი გაიზარდო 120,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 152,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 272,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

12) ორგანიზაციული კოდის „შემოსულობები სხვა შემოსავლებიდან“ შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- „რენტა“-ს მუხლი გაიზარდოს 40,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 2.300,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 2.340,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- „პროცენტები“-ს მუხლი გაიზარდოს 75,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 200,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 275,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- „საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია“-ს მუხლი გაიზარდოს 35,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 75,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 110,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

13) ფინანსთა სამინისტროს მ/წლის 18 დეკემბრის #04-03/89524 წერილის თანახმად შევიდეს ცვლილებები ორგანიზაციული კოდი „საგადასახადო შემოსავლები“-ს შემდეგ მუხლებში:
   - „გადასახადები საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)“ გაიზარდოს 250,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.300,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.550,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
   - „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი“ გაიზარდოს 100,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 50,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 150,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
   - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი“ გაიზარდოს 50,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 450,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 500,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
14) ორგანიზაციული კოდი 01_01_01 „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს 80,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 373,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 293,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
15) ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლი შემცირდეს 45,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 3.008,5 ათასი ლარისა განისაზღვროს 2.963,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
16) ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „გრანტი“-ს მუხლი გაიზარდოს 93,2 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 406,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 500,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
17) ორგანიზაციული კოდი 02_03_02 „გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლე გაიზარდოს 35,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 580,5 ათასი ლარისა განისაზღვროს 615,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
18) ორგანიზაციული კოდი 02_07 „საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 55,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 504,1 ათასი ლარისა განისაზღვროს 559,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
19) ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 371,8 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.979,2 ათასი ლარისა განისაზღვროს 2.351,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
20) ორგანიზაციული კოდი 06_02_03 „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა ოპერაციების ხარჯები“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი გაიზარდოს 120,0 ათასი ლარით და

აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.190 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.310,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

21) ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 19 დეკემბრის #31-1082535350 წერილის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 05_02_01 ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"-ს „სუბსიდიები"-ს მუხლიდან ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში გადატანილ იქნეს 9,4 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 15,9 ათასი ლარისა განისაზღვროს 25,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

22) ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური"-ს დირექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის #33-1082535168 წერილის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 04_01_01 ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური"-ს „სუბსიდიები"-ს მუხლიდან „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში გადატანილ იქნეს 10,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 10,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **36 306,5** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

2. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,8 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს შეესაბამება.

2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 24297,2 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან 21065,2 ათას ლართან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3068,8 ათასი ლარით ანუ(15,3%-ით).

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 22297,2 ათასი ლარით;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან 19265,2 ათას ლართან შედარებით დღგ გაზრდილია 15,7%-ით (3032,0 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2000.0 ათას ლარს;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან 1800,0 ათასი ლართან შედარებით ქონების გადასახადი 10%-ით (200,0 ათასი ლარით) იზრდება.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვროს 430,7 ათასი ლარამდე, მათ შორის:

- ✓ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად- 191,7 ათასი ლარი საზოგადოებრივი ჯანმრთველობის ფუნქციონირებისათვს.

✓ მაღალმთიანი რეგიონების განვითარების და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებული ღონისძიებათა დაფინანსება- 25,0 ათასი ლარი.

✓ პერსონალური ასისტენტის დაფინანსებისათვის 214,0 ათასი ლარი.

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლები დაგეგმილია 2988,6 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული შემოსავლები გადასახადების მიხედვით შემდეგია:

➢ შემოსავლები საკუთრებიდან განისაზღვროს 2650,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ პროცენტები 250,0 ათასი ლარი.

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 50,0 ათასი ლარით მეტი განისაზღვროს.

✓ რენტა 2400,0 ათასი ლარის ოდენობით

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა 2300,0ათასი ლართან შედარებით მეტია დაგეგმილი 100,0 ათასი ლარის ოდენობით რაც გამოწვეულია ბუნებრივი რესურებით სარგებლობის მოპოვების გაზრდით.

✓ შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 400,0 ათასი ლარი,2025 წელთან შედარებით გაზრდილია 100,0 ათასი ლარით.

➢ შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განისაზღვროს 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ სანებართვო მოსაკრებლები 2,0 ათასი ლარი;

✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 70,0 ათასი ლარი;

✓ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 28.0 ათასი ლარი;

➢ შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განისაზღვროს 208,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 130,0ათასი ლარი;

✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 78,6 ათასი ლარი;

➢ ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განისაზღვროს 30,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 30,0 ათასი ლარი;

- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა განისაზღვროს 50,0 ათასი ლარის ოდენობით.
- ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვროს 27.8 ათასი ლარის ოდენობით;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს პროცენტის 5,0 ათასი ლარის დაფარვას. სულ გადასახდელების ოდენობა შეადგენს 32,8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 27 766,5 ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან 24146,4 ათასი ლართან შედარებით იზრდება 3620,1 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 5 ძირითადი ფაქტორით, -1) დამატებული ღირებულების გადასახადის ზრდით 3032,0 ათასი ლარით, 2),ქონების გადასახადის ზრდით-200.0 ათასი ლარით, 3) მიზნობრივი ტრანსფერის ზრდის შედეგად 214,0 ათასი ლარით, 4)სანქციები,ჯარიმები და საურავებიდან 100,0 ათასი ლარით და 5)საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან 74,1 ათასი ლარი.

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით როგორიცაა:მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლების ხელფასების ზრდა, ააიპ-ის სუბსიდირების ზრდა,შპს „დმანისის სატრანსპორტო კომპანიის“ დამატებით, მერიის საქონელი და მომსახურების მუხლის ზრდით, შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა ხელფასების მატების შედეგად.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულ იქნას:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 6790,1 ათასი ლარი; მათ შორის:**

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 1922,4 ათასი ლარი;
- ✓ **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვა-45,0 ათასი ლარი.**

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნას პროექტების შესაბამისად სულ 508,1 ათასი ლარი. მათ შორის :

✓ ქ.დმანისში გამსახურდიას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 4,6 ათასი ლარი.

✓ ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩის, 9 აპრილის ჩიხის და ვახტანგ მეფის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე 63,6 ათასი ლარი.

✓ ამამლო-ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-92,9 ათასი ლარი.

✓ ქ.დმანისში ვახტანგ მეფის ქუჩის რეაბილიტაციაზე 312,0 ათასი ლარი.

სოფელ პანტიანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მე-2 ეტაპი)-35,0 ათასი ლარი.

საკუთარი შემოსავლების ხარჯზე განისაზღვროს შემდეგი პროექტები:

-ქ. დმანისში შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია, რაზეც დაიხარჯება 808,9 ათასი ლარი

-ქ. დმანისში გაბაშვილის ქუჩის რეაბილიტაციაზე 505,4 ათასი ლარი.

-დმანისის მუნიციპალიტეტში ტურისტული მაჩვენებლების მოწყობაზე (50 ცალი) 100,0 ათასი ლარი.

წყლის სისტემების განვითარება -155,3 ათასი ლარი;

განხორციელედეს შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 155,3 ათასი ლარი ქ.დმანისში და 19 სოფელში სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მშენებლობისთვის.

გარეარე განათება - 620.0,0ათასი ლარი;

განხორციელედეს შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულ იქნას ელექტრო მრიცხველების შეძენა-მონტაჟი 20,0 ათასი ლარი და გახარჯული ელექტრო ენერგიის ხარჯი 600.0 ათასი ლარი.

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 968,6 ათასი ლარი; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ადგილობრივი სახსრებით 2026 წელს ;

-სოფელ განახლებაში ადმინისტრაციული შენობის სრული რეაბილიტაცია 163,2 ათასი ლარი.
-სოფელ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია 558,7 ათასი ლარი.
-სოფელ კიზილაჯლოში სტადიონის მოწყობა 78,8 ათასი ლარი.
-სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაცია 123,0 ათასი ლარი.
-სოფელ განთიადის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაცია 123,7 ათასი ლარი.

ასევე მუნიციპალიტეტის მერია გაითვალისწინებს სვანეთიდან გადმოსახლებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის 1 000.0 ათასი ლარი და ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსებისათვის 50,0 ათასი ლარი.

✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები** პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები,რისთვისაც გათვალისწინებულია 278,8 ათასი ლარი,კერძოდ:

✓ **საანგარიშო წელს განხორციელდება შემდეგი პროექტების რეაბილიტაცია** :

✓ -სოფელ -სოფელ კიზილაჯლოს მინი სტადიონის მოწყობზე-78,8 ათასი ლარი.

✓ -ზეზვას და მზიას ქანდაკების მოწყობა 200,0 ათასი ლარი.

✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 550,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდეს სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

✓ **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული იქნას 1200,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სოფლებში ადგილობრივი გზების ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, გარე განათების რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოფლის კონკრეტული მოსახლეობა.

➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვროს - 2894,0 ათასი ლარი; მათ შორის:**

✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2764,0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ქალაქის და მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, სასმელი წყლის სისტემების მოვლა-შენახვა, ადგილობრივი შიდა გზების მოვლა-შენახვა, მუნიციპალური ტრანსპორტის ხარჯები დაფინანსება და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მოხვნის ხარჯების დაფარვა.

>უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისთვის -100.0 ათასი ლარი.

კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში - 30,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა,კეძოდ:

➢ **განათლება - 2621,4 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ **სკოლამდელი განათლება -2369,0 ათასი ლარი;**

2025 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 519,4 ათასი ლარით ანუ 22 %,რაც გამოწვეულია სოფელ ამამლოში და სოფელ ირგანჩაიში ბაღების გახსნის შედეგად.

>საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება განისაზღვროს -232,2 ათასი ლარის ოდენობით

2025წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 17,2 ათასი ლარით (7,5%)რაც გამოწვეულია თანამშრომელთა ხელფასების და კომუნალური ხარჯების ზრდით.

პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით-სწავლის დაფინანსება-15,2 ათასი ლარი.

საჯარო სკოლების დაფინანსება 5,0 ათასი ლარი.

დაწყებითი ზოგადი განათლება -0,0 ათასი ლარი

აღნიშნული წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს მოსწავლეების გადაყვანა ლარი, და სკოლების მცირე რეაბილიტაცია.

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4113,4 ათასი ლარი მათ შორის:**

- ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა -1240,6 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

- ✓ **კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა -2387,8 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა განახორციელოს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, კულტურული ღონისძიებების, რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3330,5 ათასი ლარი, მათ შორის:**
- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 191,7 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში.**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- ✓ **სოციალური პროგრამები - 3138,8 ათასი ლარი; გათვალისწინებული იქნას შემდეგი პროგრამები:**

- ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამისთვის გათვალისწინებული იქნას - 782,0ათასი ლარი, მათ შორის: დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების

დახმარება-52,0 ათასი ლარი, ერთჯერადი დახმარება- 446,0 ათასი ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება-15,0 ათასი ლარი, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება-91,0 ათასი ლარი, მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-15,0 ათასი ლარი,18 წელს გადაცილებული შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა -30,0 ათასი ლარი და მარჩენალდაკარგული დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება-26,0 ათასი ლარი, ბავშვთა რეაბილიტაციის შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფა-21,0 ათასი ლარი, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ,ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების ქვეპროგრამა-21,0 ათასი ლარი, ბავშვთა რეაბილიტაცია განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შშბ-ის განკუთვნილი ყოველთვიური დახმარება 25,0 ათასი ლარი და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება 40,0 ათასი ლარი.

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური დახმარების პროგრამა-1150,0 ათასი ლარი, მათ შორის: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბოლატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამისთვის 753,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციისთვის - 20,0 ათასი ლარი, მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა 350,0 ათასი ლარი და 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარების ქვეპროგრამა 27,0 ათასი ლარი.
- სარიტუალო მომსახურება 1,0 ათასი ლარი.
- ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა-200,0 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება -255,8 ათასი ლარის ოდენობით
- მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა-342,0ათასი ლარი.
- ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით უზრუნველყოფა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის-64,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის საახალწლო საჩუქრების გადაცემა.

- ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსება-55,0 ათასი ლარი.
- ქალთა სოციალურ- ეკონომიკური გაძლიერების პროგრამაზე 25,0 ათასი ლარი.
- ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრი 50,0 ათასი ლარი.
- პერსონალური ასისტენტის სერვისების მომსახურებით უზრუნველჯოფა-214,0 ათასი ლარი.

➢ **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 8017,1 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ საკრებულოს დაფინანსება 1549,2 ათასი ლარი;
✓ მერია - 6115,1 ათასი ლარი;
✓ საერთო დანიშნულების ხარჯები -352,8ათასი ლარი;

აქედან : სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი-50.0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა-32,8 ათასი ლარი , საიდანაც ძირითადი თანხა შეადგენს 27,8 ათას ლარს, ხოლო პროცენტი 5.0 ათას ლარს.

სარეზერვო ფონდი - 200,0 ათასი ლარი.

მონაწილეობითი საქმიანობის მხარდაჭერა-50,0 ათასი ლარი.

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობის ღონისძიებები-20,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვროს:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2026 წლის პროექტი**
	სულ ჯამი	**27 766,5**
01 0101	საკრებულო	1549,2
01 0102	მერია	6115,1
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	352,8
	აქედან სარეზერვო ფონდი	200.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6790,1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის	1967,4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	155,3
02 03	გარე განათების რეაბილიტაცია	620.0
02 04 ,	ბინათმშენებლობა-	2018,6
02 05	კეთილმოწყობა-	278,8
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ღონისძიებები.	1200,0
02 07	საპროექტო მომსახურება-	550,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	2764,0
03 03	კაპ,დაბანდებები დასუფთავების სფეროში-	30,0
0304	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები.-	100,0
04 00	განათლება	2621,4
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა,	2369,0
0402	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	252,4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1240,6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2387,8
0503	რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა	200,0
0504	ინიციატივების თანადაფინანსება	15,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი
0505	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	210,0
0506	საგამომცემლო საქმიანობა	60,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3330,5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	191,7
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	191,7
06 02	სოციალური დაცვა	3138,8
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	782,0
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საწვავით (ბრიკეტები) უზრუნველყოფა	64.0
06 02 03	სამედიცინო სტაციონალური დახმარებები	1150,0
060204	სარიტუალო მომსახურება	1,0
060205	სათნოების სახლის სუბსიდირება	342,0
060206	ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა და მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	455,8
060208	ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა	55.0
060209	ქალთა სოციალურ-ეკონომიკურიგაძლიერების ქვეპროგრამა	25,0
060210	ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრი.	50,0
060211	პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	214,0

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში გათვალისწინებულ იქნას 27 766,5 ათასი ლარი, მათ შორის:

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 8017,1ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 1967,4 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 2894,0ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 4822,7 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 191,7 ათასი ლარი;*
- *განათლება - 2621,4 ათასი ლარი;*
- დასვენება,კულტურა,სპორტი და რელიგია-4113,4 ათასი ლარი.
- *სოციალური დაცვა - 3138,8 ათასი* ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი (2026-2029 წლები);
2. ინფორმაცია 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
5. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი
6. მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.
7. მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი.
8. ბიუჯეტის დანართი.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

3. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2026-2029 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2026-2029 წლებისთვის, 2024 წლის და მიმდინარე 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში ქალთა და ბავშვთა თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობის ღონისძიებები.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 29
წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

4. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაცხადებული პოლიტიკის ფარგლებში, თანამშრომლებისთვის ხელფასების 10 პროცენტით მატება გრძელდება. ამ ყველაფრის მიზანია, საჯარო სექტორში დასაქმებულებს ჰქონდეთ მეტი სტიმული და ინტერესი, დარჩნენ აღნიშნულ სექტორში.

"საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურად განისაზღვრება საბაზო თანამდებობრივი სარგო, რაზეც მრავლდება თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი და შესაბამისად განისაზღვრება საჯარო მოხელის ყოველთვიური ანაზღაურება. მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით „მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების მოხელეთა თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის დანართის №2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში". ამ ცხრილის მიხედვით დადგენილია 1-დან 10-მდე სახელფასო კატეგორიები თანამდებობრივი სარგოებისათვის და თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით შესაბამისი კოეფიციენტები.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მოქმედი საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია ზემოხსენებული დანართი №2 ცხრილით კოეფიციენტების მე-7 კატეგორია და 2026 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო კოეფიციენტების მე-8 კატეგორია, საშტატო ნუსხაში 2025 წლის 26 თებერვალს განხორციელებული ცვლილებით. იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ ქვემო ქართლის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში (ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული, გარდაბანი, რუსთავი) დასაქმებულ საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები დადგენილი აქვთ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის დანართი N2-თ გათვალისწინებული მე-8 და მე-9 კოეფიციენტის შესაბამისად.

სახელმწიფო ბიუჯეტით საბაზისო თანამდებობრივი სარგო არის საწყისი წერტილი, რომლითაც საჯარო სამსახურში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირის ხელფასი განისაზღვრება. მოქმედი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საჯარო დაწესებულებაში საბაზო თანამდებობრივი სარგო განსაზღვრულია 1460 ლარის ოდენობით, ხოლო მომავალი წლიდან დაახლოებით 10 პროცენტიანი მატებით განისაზღვრება 1600 ლარის ოდენობით („საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში და განხილვის პროცესშია). შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დაანგარიშებული იქნას 1600 ლარის ნამრავლი კოეფიციენტების მე-8 კატეგორიაზე.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

5. მომხსენებელმა: სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაცხადებული პოლიტიკის ფარგლებში, საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა ხელფასების მატება გრძელდება. შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით განისაზღვროს საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს გაზრდილი ოდენობა 2026 წლის პირველი იანვრიდან, წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული სახელფასო კოეფიციენტის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

6. მომხსენებელმა: სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის №109.109253165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირებს საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად განესაზღვროთ საწვავების მატება;

აზრი გამოთქვეს: ოლეგი გოშუანმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

7. მომხსენებელმა: მეგი ედიბერიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონმა სახელმწიფოს მთელი რიგი ვალდებულებები დააკისრა მუნიციპალიტეტების როლისა და ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით, რათა სხვადასხვა მიზნობრივი პროექტებით ხელი შეეწყოს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ინკლუზიური გარემოს შექმნას. პერსონალური ასისტენტი არის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელიც გამოხატავს თანხმობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს გაუწიოს მისთვის საჭირო მომსახურება დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული კანონის მე-20 და 35-ე მუხლებით განსაზღვრულია პერსონალური ასისტენტის სერვისის დანერგვის საკითხი და დელეგირების ვალდებულება ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებზე.

ხსენებული კანონის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტებს დაევალა 2025 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამული გაწერა, სერვისის მოცულობის განსაზღვრა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისი მიწოდების წესების შემუშავება და 2025 წლის 1 იანვრიდან უზრუნველყონ პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება. ამ მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 24 დეკემბერს მიღებულ იქნა N37 დადგენილება „დმანისის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ" და ეს პროგრამა მოქმედია 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ვინაიდან, პროგრამა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოყოფილი სახსრებით და იგეგმება ამ პროგრამის კიდევ 1 წელი განხორციელება, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხსენებული მუნიციპალიტეტის დადგენილება და მიღებულ იქნას ახალი დადგენილება, რომელიც ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით დამტკიცდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა", რომლის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით და პროგრამის ამოცანაა პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

8. მომხსენებელმა: მეგი ედიბერიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ

განკარგულებით დამტკიცდება:

ა) ,,ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 01)" დანართი N1 - ის შესაბამისად;

ბ) ,,დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 02)" დანართი N2 - ის შესაბამისად;

გ) ,,ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 03)" დანართი N3 - ის შესაბამისად;

დ) ,,მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 04)" დანართი N4 - ის შესაბამისად;

ე) ,,მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 05)" დანართი N5 - ის შესაბამისად;

ვ) ,,18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 06)" დანართი N6 - ის შესაბამისად;
ზ) ,,მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის სოციალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 07)" დანართი N7 - ის შესაბამისად;
თ) „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 08)" დანართი N8 - ის შესაბამისად;
ი) „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა" (პროგრამული კოდი - 06 02 01 09)" დანართი N9-ის შესაბამისად;
კ) ,,ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური სოციალური დახმარების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი - 06 02 01 10)" დანართი N10 -ის შესაბამისად.
ლ) ,,მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირების და ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 11)" დანართი N11 - ის შესაბამისად;
მ) ,,ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით") უზრუნველყოფის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)" დანართი N12- ის შესაბამისად;
ნ) ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03 01)" დანართი N13 - ის შესაბამისად;
ო) ,,აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03 02)" დანართი N14 - ის შესაბამისად.
პ) ,,მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03 03)" დანართი N15 - ის შესაბამისად;
ჟ) 0 - დან 1 წლამდე ასაკის ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარების ქვეპროგრამა" (პროგრამული კოდი 06 02 03 04) დანართი N16 - ის შესაბამისად;
რ) ,,ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06)" დანართი N17 - ის შესაბამისად.
ს) ,,ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08)" დანართი N18 - ის შესაბამისად;
ტ) ,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით (პროგრამული კოდი 06 02 09)" დანართი 19 - ის შესაბამისად;
უ) ,,დმანისის ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრის თანადაფინანსების მუნიციპალური ქვეპროგრამა" (პროგრამული კოდი 06 02 10) დანართი N20 - ის შესაბამისად;
ფ) ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი - 03 01 01 04) " დანართი N21 - ის შესაბამისად;
აღნიშნული ქვეპროგრამებიდან ცვლილება შევიდა 4 ქვეპროგრამაში:

1. **მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირების და ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა** - სათაურში დაემატოს მარტოხელა პირები და საბოლოო ჯამში სამიზნე ჯგუფი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებები დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე გამოკვეთილ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ერთ-ერთი შემდეგი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები:

ა) ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) ოჯახი, რომელშიც იმყოფება ერთი ან მეტი შშმ ბავშვი;

გ) ოჯახი, რომელიც ჩართულია რეინტეგრაციის პროგრამაში;

დ) მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახი;

ე) მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირები

2. **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა** - ქვეპროგრამაში, პროგრამით მოსარგებლეთათვის დაემატა 18 წლამდე ასაკის პირები ან და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის კურსები.

საბოლოოდ **მე-4 მუხლი. კრიტერიუმი და დაფინანსება** ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ქვეპროგრამით მოსარგებლეთათვის გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

ა) ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000 ქულის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა;

ბ) იძულებით ადგილნაცვალი პირები და მათი ოჯახის წევრები;

გ) ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები;

დ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ე) 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ვ) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად);

ზ) ჰეპატიტით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად);

თ) 18 წლამდე ასაკის პირები ან და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის კურსები.

ასევე, აღნიშნულ პროგრამაში ფინანსური მხარდაჭერა გაიზარდოს 1000 ლ-ით და ჯამში პროგრამით მოსარგებლე პირებმა ისარგებლონ არა უმეტეს 3000 ლარით.

3. **,,მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის მუნიციპალური ქვეპროგრამა"** - ცვლილება შეეხოს ფინანსური მხარდაჭერის გაზრდას და საბოლოოდ შეადგინოს 300 ლარი.

4. **ტრანსპრტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა** - აღნიშნული პროგრამით აღარ ისარგებლონ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრისა და სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა და მათი სატრანსპორტო გრაფიკი სრულად დაექვემდებაროს მათივე სამსახურებს.

საბოლოოდ პროგრამა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციის შესაბამისად:

მუხლი 4. ტრანსპორტის გადადგილების მიმართულება

1. დიალიზის საჭიროების მქონე პირების ტრანსპორტირება - ქ. დმანისიდან - ქ. თბილისის და ქ. თბილისიდან - ქ. დმანისის მიმართულებით კვირაში ერთი დღე (საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2 დღე);

2. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ტრანსპორტის გამოყოფა მოხდეს საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით.

3. საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა განხორციელდეს საჭიროების შესაბამისად.

4. სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით და გრაფიკით:

ა) კვირაში ორი დღე - სოფელი დაგარახლო - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - დაგარახლოს მიმართულებით;

ბ) კვირაში ორი დღე - სოფელი ამამლო - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - ამამლოს მიმართულებით;

გ) კვირაში ექვსი დღე - სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით;

დ) კვირაში ორი დღე - სოფელი მამულო ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელ მამულოს მიმართულებით;

ე) კვირაში ორი დღე - სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაის მიმართულებით (ორშაბათს ორი რეისი, ოთხშაბათს ორი რეისი, პარასკევს ერთი რეისი)

ვ) კვირაში ორი დღე - სოფელი კიზილაჯლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კიზილაჯლოს მიმართულებით;

ზ)კვირაში ორი დღე - სოფელი იფნარი ქ. დმანისი, ქ. დმანისი სოფელი იფნარის მიმართულებით;

თ) კვირაში ერთი დღე - სოფელი გუგუთი ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი გუგუთის მიმართულებით;

ი) კვირაში ორი დღე - სოფელი საფარლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი საფარლოს მიმართულებით;

კ) კვირაში ერთი დღე სოფელი ლოქჭანდარი, ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი ლოქჭანდარის მიმართულებით;

ლ)კვირაში ერთი დღე - სოფელი კამიშლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კამიშლოს მიმართულებით;

მ) კვირაში ერთი დღე სოფელი კაკლიანი (აზერბაიჯანული), სოფელი ბოსლები, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, სოფელი ბოსლები, სოფელი კაკლიანი (აზერბაიჯანული) მიმართულებით;

ნ) კვირაში ორი დღე - სოფელი მაშავერა, ქ, დმანისი და ქ. დმანისი, სოფელი მაშავერას მიმართულებით;

ო) სასწავლო დღეებში - სსიპ ირგანჩაის საჯარო სკოლის ქართული სექტორის პედაგოგების ტრანსპორტირება ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაი და სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის მინართულებით.

5. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირება:

ა) სასწავლო დღეებში 2 (ორი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სოფელი ახალი გოდაგდაგი - სოფელი ზემო კარაბულახი - სარკინეთი და სოფელი სარკინეთი - ზემო კარაბულახი-სოფელი ახალი გოდაგდაგის მიმართულებით (ორი რეისი);

ბ) სასწავლო დღეებში 2 (ორი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ამამლო და სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ზემო ოროზმანის მიმართულებით;

გ) სასწავლო დღეებში 1 (ერთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სოფელი იაღუფლო, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, სოფელი იაღუფლოს მიმართულებით;

დ) სასწავლო დღეებში 2 (ორი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სოფელი დალარი, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, სოფელი დალარის მიმართულებით.

6. ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტის გამოყოფა განხორციელდეს მერის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული შემთხვევის დაფინანსება განხორციელდეს მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს ამ ქვეპროგრამის შესაბამის კოდში განსაზღვრული თანხის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

9. მომხსენებელმა: მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ

განკარგულებით დამტკიცდება:

ა) „დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) „დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, დანართი N3-ის შესაბამისად;

დ) „დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, დანართი N4-ის შესაბამისად.

ცვლილება შევიდეს ორ ქვეპროგრამაში;

1.„დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამა - სტუდენტების დაფინანსება A ფრიადი შეფასების შემთხვევაში გახდეს 250 ლ. აღნიშნული წესით ისარგებლონ როგორც ბაკალავრის ისე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა.

2. „დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამა- აღნიშნული წესით ასევე ისარგებლონ ახალგაზრდებმა, რომლებიც მონაწილეობენ ახალგაზრდული სივრცე-

მედიათეკის განვითარებაში, ახორციელებენ სამეწარმეო ან ინოვაციურ საქმიანობას, ქმნიან ახალ პროდუქტს, სერვისს ან იდეას, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, დასაქმების ან სოციალური ინოვაციის განვითარებას. აღნიშნული ახალგაზრდებისთვის დასაშვებია მხარდაჭერა ბიზნესიდეის განხორციელების, ინოვაციური პროექტების პრეზენტაციის ან პროფესიული განვითარების მიზნით ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

10. მომხსენებელმა: ტარიელ პაკელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად და არეგულირებს საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებს.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

11. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი **„**დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ამ დადგენილების პროექტთან ერთად დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, მოქმედი საშტატო ნუსხისგან განსხვავებით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში არსებულ „ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბურალტრო აღრიცხვის განყოფილების“ ნაცვლად განისაზღვროს „ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება“.

აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ხსენებულ სამსახურში ყველა სპეციალისტი შესულია „ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბურალტრო აღრიცხვის განყოფილებაში“ და 2026 წლის პირველი იანვრიდან ამ განყოფილების ერთი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გამოეყოფა განყოფილებას, დაექვემდებარებ უშუალოდ სამსახურის უფროსს და განახორციელებს ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს. ხოლო დარჩენილი სპეციალისტების მხოლოდ ბუღალტრულ უფლებამოსილებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №42 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შესაბამის მუხლებში შესული ცვლილებებით სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფის დასახელება შეიცვალოს „ბუღალტრული

აღრიცხვის განყოფილებით“, მსგავსად 2026 წლის პირველი იანვრიდან ასამოქმედებელ მერიის საშტატო ნუსხისა. ასევე, განყოფილების ფუნქციებიდან სამსახურის ფუნქციებში გადავიდეს ის პუნქტები, რომელიც ეხება ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

12. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №21 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) მე-3 მუხლით დამტკიცებულია „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლების განაკვეთები“. რომელის მიხედვითაც, განაკვეთები დიფერენცირდება დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე თავისი შემოსავლის, ქონების, მის მიერ დასაქმებული პერსონალის რაოდენობის ან/და საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით.

დადგენილების მიხედვით, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გაუვნებლობას და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობას, რომელსაც უზრუნველყოფს დმანისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“. თუმცა, დადგენილი მოსაკრებლის განაკვეთებიდან შემოსული თანხები ვერ უზრუნველყოფს ხსენებული ა(ა)იპ-ის მიერ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვას და ამ მიზნით სუბსიდირდება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ცვლილება შევიდეს დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებულ „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთებში“ და:

1. ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის - საერთო ფართის 1კვ.მ.-ზე მოსაკრებელი ნაცვლად 0.2 ლარის, განისაზღვროს 0.4 ლარი;
2. ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციებისთვის - საერთო ფართის 1კვ.მ.-ზე ნაცვლად 0.25 ლარის, განისაზღვრება 1.0 ლარი;
3. ემატება „ქსელური სასურსათო მაღაზიები“ და სამუშაო ფართის 1კვ.მ.-ზე განისაზღვროს 1.0 ლარი;
4. ავტოგასამართი სადგურებისთვის - სამუშაო ფართის 1კვ.მ.-ზე, ნაცვლად 0.1 ლარის, განისაზღვროს 0.2 ლარი;
5. სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო და სამრეცხაო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილებისთვის - სამუშაო ფართის 1კვ.მ.-ზე, ნაცვლად 0.1 ლარის, განისაზღვროს 0.5 ლარი;

6. სადალაქოები, სილამაზის სალონები და კოსმეტოლოგიის და ესთეტიკის ცენტრებისთვის - საერთო ფართის 1კვ.მ.-ზე, ნაცვლად 0.3 ლარის, განისაზღვროს 0.5 ლარი;
7. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისათვის (სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით) - ერთ სულ მოსახლეზე ნაცვლად 0.5 ლარისა, განისაზღვროს 1.0 ლარი.
აღსანიშნავია, რომ ვერც აღნიშნული ცვლილებით იქნება უზრუნველყოფილი დასუფთავებასთან დაკავშირებული მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვა. თუმცა, მნიშვნელოვანია სერვისის გაუმჯობესებისათვის.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

13. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის Nგ-109.109252832 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შევიდეს ცვლილება „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის Nგ-109.109252832 განკარგულებაში და:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ამ განკარგულების დანართებით წარმოდგენილი:

ა) „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება;

ბ) „„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 12 დეკემბრის N1 შეთანხმება.“

ბ) განკარგულებას დაემატოს ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 12 დეკემბრის N1 შეთანხმება.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

14. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) განსაზღვროს არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 19 (ცხრამეტი) საშტატო ერთეულის ოდენობით ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საშტატო ერთეულის რიცხოვნობის დაცვით, იგივე ქვეპუნქტით წარმოდგენილ დანართში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს საშტატო ერთეულის პოზიციის დასახელება.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

15. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდეს ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმა", რომელის მიზანია:

- საგანგებო სიტუაციებისაგან დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელთა დაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

- ადგილობრივ დონეზე, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;

- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გასატარებელი ღონისძიებების, მათი მოცულობის, განხორციელების წესისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადი და დამხმარე სუბიექტების ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა;

- ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის ორგანოს შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო დახმარების ფუნქციების მხარდაჭერა;

- ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე მუნიციპალიტეტის ორგანოს დროული, კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა მადლობა გადაუხადა წარმოდგენილი დადგენილების შემუშავებაში მონაწილე პირებს და ხაზი გაუსვა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მნიშვნელობას მუნიციპალიტეტისათვის. ასევე, მან აღნიშნა, რომ ამ დადგენილების პროექტმა გაიარა სამართლებრივი ზედამხედველობა მთავრობის ადმინისტრაციის მიერ და გათვალისწინებულ იქნა მიღებული რეკომენდაციები.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

16. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი და შენობა ნაგებობა) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 706.00 კვ.მ. და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა N1; N2 (საკადასტრო კოდი 82.01.43.866) უსასყიდლოდ (უზუფრუქტის ფორმით) დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულ სკოლა"-ს (ს.კ. 228928364) მისი არსებობის ვადით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

17. საკრებულოს თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს რიგგარეშე საკითხად წარმოუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 დეკემბრის N74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ყოველთვიური ხარჯის ოდენობა 1210 (ათას ორასათი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი